ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N17

2024 წლის 13 თებერვალი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N02 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქუჩა N13.)
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ასლან საგანელიძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2024 წლის პრივატიზების გეგმა

N	საპრივატიზებოდ გათვალისწინებული უძრავი ან მოძრავი ქონების დასახელება	ქონების ადგილმდებარეობა	ქონების მოცულობა, მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ	ქონების საწყისი საბაზრო ღირებულება (ლ)	აუქციონის ფორმა უპირობო - პირობიანი	აუქციონის შემდგომ შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან და პერიოდულობის შესახებ
1	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.	სოფ.ნიკორწმინდა (დაბა ხარისთვალა)	3434	240 400	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
2	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.	სოფ.ნიკორწმინდა (დაბა ხარისთვალა)	1 500	60 000	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
3	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.	სოფ.ნიკორწმინდა (დაბა ხარისთვალა)	1 507	75 350	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
4	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.	ქ.ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ	161	20 000	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
5	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.	ქ.ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ	51	6 200	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
6	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.	ქ.ამბროლაური გამსახურდიას ქუჩა N21ა	64	7 700	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში

7	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (0ვერთეული)	ქ.ამბროლაური გამსახურდიას ქუჩა	3166	309 700	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
8	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული (ყოფილი სანავთის) შენობა	სოფ.ნიკორწმინდა	20	5 700	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
9	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ამბროლაური მახალდიანის ქუჩის მიმდებრაედ (პატარა ბაზარში)	15	900	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
10	ავტომანქანა "MITSUBISHI DELICA" გამოშვების წელი 2002	ქ.ამბროლაური ბრატისლავა-რაჭის ქუჩა N11	1 ერთეული	7 360	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში